ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 20 სექტემბერი № 1587

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდაა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვ·ს სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». **ტელეფონი № 372**,

ხვალ, ენკენისთვის 21-ს, იოანნე ღვთისმეტყველის ეკლესიაში (ვერაზე) გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

თავ. დიმიტრი სპირიდონის ძის ხიმშიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული ხიმშიაშვილისა, კნეინა სოფიო დიმიტრის ასული და თავ. გრიგოლ ნიკოლოოზის ძე დიასამიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე, ხოლო წირვა 9 საათზე. (1—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აუწყებს ქალაქის მცხოვრებთ, რომ 16 ამა სექტემბერს გარდაიცვალა **ქალაქის მოურავი**

გიორგი გრიგორის ძე ევანგულოვი.

გამოსვენება განსვენებულის გვამისა სახლიდან (თეატრის ქუჩა, საკუთარი სახლი) მოღნინის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ხუთშაბათს, 20 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ხოლო დასაფლავება ხოჯევანქის სასაფლაოზე.

ხუთშაბათს, 20 სექტემბერს 1901 წელს

ქართული თეატრი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

დაქცეული ოჯახი

კომედია 3 მოქ., თხზ. სუნდუკიანცისა.

II

რევიზორი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა

ვოდ. 1 მოქმედებად, თარგ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, მღივანი, გარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, ჩიქოვანი და გივიშვილისა; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანიშვილი, იმერიძე და სხვ. ანტრაქტებში დაუკრავს ლოიკოს მებალალაიკეთა ხორო.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

მზადდება პიესა **„ირინეს ბედნიერება“**.—წარმოდგენილი იქმნება კვირას, 23 სექტემბერს.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

კიოსკში

იყიდება ყველა ქართული გამოცემანი. ლორის მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, საკუთარ შენობაში. (20—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი. ქედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარკევიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის-უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274. (წლ.)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ექიმი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—30)

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხიდ-დუქნელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

მკურნალი-ქალი

მარიამ ბაქრაძე

იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—2)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის ადიუტანტი დრაგუნთა მე-45 სევერსკის პოლკის შტაბს-როტმისტრი თავ. გურიელი დაინიშნა იმავე უფროსის საგანგებო საქმეთა მინდობილების ობერ-ოფიცრად.

სემიპალატინსკის სა-ეზერვო ბატალიონის უფროს პოდპოლკოვნიკს თავ. გრიგოლ ჩოლოყაშვილს ებოძა წმ. მოციქულთა სწორის თავ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენი.

ამიერ კავკასიის საპოლიციო დარაჯთა ოფიცერი ტფილისის გუბერნიისა კაპიტანი მაისურაძე დაინიშნა იმავე თანამდებობაზე ქუთაისის გუბერნიაში.

ერთის ახალის ამხანაგობის გამო

ამ დღეებში ადგილობრივმა გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ქუთაისში განუზრახავთ ახალის სამეურნეო ამხანაგობის დაარსება და სადაც ჯერ არს წესდების პროექტიც წარუდგენიათ უკვე. ამ ახალმა ამბავმა, ცოდა არ იყოს, გაგვაოცა და აი რატომ.

იმის შესახებ ლაპარაკიც არ ღირს, რასაკვირველია, რომ ამგვარი ამხანაგობა-საზოგადოება დიდათ სასარგებლოა და საჭირო ჩვენთვის. განათლებულ ქვეყნებში მეურნეობა-მრეწველობა გაადონიერეს ამგვარ ამხანაგობათ ის, რაც ვერ შესძლო ცალკე მეურნემ, ადვილად აასრულა მეურნეთა შეერთებულმა ძალამ. ამხანაგობათა მეოხებით გამაგრდა და წელში გაიმართა სოფლის მწარმოებელი, ხოლო დაიჩაგრა სოფლის მეურნეთა მცარცვავ ჩარჩების მრავალრიცხოვანი ჯარი. ვიმეორებთ: ამ დაწესებულებათა საჭიროებაზე ლაპარაკი აღარ ღირს, რადგან ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ჩვენში ჯერ როგორღაც ვერ ხეირობს ეს ამხანაგობანი. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ არცერთი მიზეზი იმდენად საშიში არ არის, რომ მათი მავნე მოქმედების მოსპობა არ შეიძლებოდეს. ყველაზედ უფრო საშიშია თვით მეურნეთა გულ-გრილობა, უყურადღებობა და ხელ-გაუნძრევლად ყოფნა. რომ ჩვენში ასეთი სამწუხარო ინდიფერენტიზმი არსებობს, ეს მრავალ მაგალითებიდან ვიცით. გამოჩნდება ერთი ან ორი კაცი, დაიწყებენ სასარგებლო საქმეს, მაგრამ სხვათა გულსაკლავი გულ-გრილობა თავშივე სპობს ახლად გამოწყებულ საქმეს. საჭიროა, ინიციატორებმა დიდი ენერგია გამოიჩინონ, რათა ხალხში თანაგრძნობა გამოიწვიონ, შეაერთონ ძალები საერთო მოქმედებისათვის და მით სძლიონ ინდიფერენტიზმი. სწორედ ამ გვარ ენერგიულ მოქმედებისათვის საჭიროა თვით ინიციატორები არ იყვნენ დაქსაქსულ გაბნეულნი, არ იწყებდნენ ახალ საქმეს, როდესაც იმგვარივე ძველი საქმე ფეხზე არ არის დაყენებული; ხოლო ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე ადგას ორ ერთნაირის საზოგადოების დაარსება უაზრობაა, როდესაც ირგვლივ ყველა გულ-გრილად უყურებს საქმეს.

აი, ამ მხრით გვეოცა ჩვენ ზემოდ აღნიშნული ქუთათური ახალი ამბავი. ვერ გაგვიგია, რად დასჭირდა იქაურ მემამულეთ ახალის ამხანაგობის დაარსება, როდესაც მათ უკვე აქვთ მშვენიერად დაწყებული ამგვარივე საქმე? რად დასჭირდათ ახალი ამხანაგობა, როდესაც ჯერ ძველიც არ გამაგრებულა? რომ ძველს ამხანაგობას სავსებით და ფართოდ შეუძლია მემამულეთა საერთო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ეს ცხადათ სჩანს მის წესდებიდან.

ჩვენ სახეში გვაქვს „ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობა კოლხიდა», რომლის წესდება უმაღლესმა მთავრობამ ორის წლის წინად დაამტკიცა (11 აპრილს 1899 წ.). ამხანაგობას საგნად აქვს: 1) ხელი შეუწყოს ადგილობრივ წვრილ მრეწველთა და მეურნეთ მათის ნაწარმოების სარგებლიან გასაღებაში; 2) ავრცელოს ხალხში ცოდნა მეურნეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც იქონიოს სკოლა-სახელოსნოები, იყოლიოს ინსტრუქტორები და სხვა; 3) ხელი შეუწყოს მეურნეთა და მრეწველთ საუკეთესო სამუშაო იარაღ-მასალის შეძენის საქმეში; 4) აძლიოს სესხი საქონელ-ნაწარმოების გირაოთი ან სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებათაგან აიღოს სესხი ამ საქონელში. ამხანაგობას ნება აქვს რუსეთში და საზღვარ-გარეთ გახსნას მაღაზიები, კანტორები და საწყობები თავის წევრთა საქონლის გასასაღებლათ და საჭირო მასალა—იარაღების შესაძენად; გაიჩინოს სასოფლო-სამეურნეო და სატეხნიკო ქარხნები სხვა-და-სხვა ნაწარმოების შესამუშავებლად; შეიძინოს და სყიდოს უძრავი მამულები და სხ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ამხანაგობა „კოლხიდა“ ფართო და ნაირ-ნაირ უფლებით არის აღჭურვილი და დიდი საქმეც შეუძლია შექმნას ქუთაისის გუბერნიაში, თუ მისი ინიციატორები სძლევენ და დაამხობენ ჩვენ მეურნე-მრეწველთა ჩვეულებრივ დაუდევრობასა და გულ-გრილობას. ამხანაგობას შეუძლია ფართოდ გავრცელდეს ხალხში, შეაკავშიროს მრავალი მეურნე, რადგანაც მასში წევრად ჩაწერისათვის მცირე ხარჯია გასაწევი. შესვლის ფასი 1 მანეთი თითო პაიზე და ფასი 1 თუმანი, რომლის გადახდა ამასთანავე ნაწილ-ნაწილ შეიძლება.

წესდება სავსებით შეიცავს ჩვენის ეკონომიურის ვითარების ყოველ მხარეს; ყველა წვრილ საოჯახო მრეწველთ, ყველა მეურნეთ შეუძლიანთ შეერთებულის ძალით შებრძოლონ მრავალგვარ შემაფერხებელ გა-

რემოებათ; ამგვარს შეერთებულ ძალას კი შეუძლია სასწაული მოახდინოს.

მაგრამ ამისათვის საჭიროა მოთავეთა დიდი ენერგია და საზოგადოების თანაგრძნობა. ხოლო ჩვენ რას ვხედავთ ამის მაგიერ? ჯერ ამხანაგობას თითქმის მოქმედებაც არ დაუწყია, ჯერ მის წევრთა რიცხვი ნაკლებია და აი უკვე მეორე ამგვარივე საზოგადოება არსდება! ჩვენის აზრით, ეს დაქსაქსვა საქმეს ძალიან ავნებს; ჯერ ჩვენში ნიადაგი არ მომზადებულა მრავალ ამხანაგობათა არსებობისათვის ერთ და იმავე ადგილას; ჯერ ჩვენი მეურნე და მრეწველი მეტად მძიმე მოღვაწეა და გამოუცდელი; ამგვარ პირობებში საჭიროა ერთი დიდი საზოგადოება მაინც გამაგრდეს, რათა სხვებს მაგალითი მისცეს და გზა გაუკაფოს...

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

18 სექტემბერი

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრი 18 სექტემბერს პეტერბურგში დაბრუნდა.

ჩრდილოეთის ბანკმა 18 სექტემბერს მოქმედება დაიწყო. აქციების ოფიციალური გაყიდვა 1 ოქტომბრიდან დაიწყება.

ხარკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკი მოვიდა აქა და ჩქარის მატარებლით პეტერბურგში წავიდა.

ვარშავა. საერო განათლების მინისტრი უნივერსიტეტის საბჭოს საუნივერსიტეტო წესების რეფორმის შესახებ დაეკითხა. საბჭო პასუხის დაწერას საცაა გაათავებს.

დევიატინი. 17 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე მდინარე ვიტეგრაზე, კონეცკის ამხანაგობას დაეწვა ნავი თევზითა და შაქრით ზარალი 100 ათას მანეთამდეა. საქონელი ჩრდილოეთის საზოგადოებაში იყო დაზღვეული.

კიევი. სასოფლო სამეურნეო ახლად გახსნილი კურსების დირექტორად პოლიტეხნიკური ინსტიტუტის დეკანი კონოვალოვი აარჩიეს. ლექციების წასაკითხად 13 კაცი მოიწვიეს: მომეტებულ ნაწილად ინსტიტუტის პროფესორები არიან მოწვეულნი.

მოსკოვი. ქალაქის თავმა დღეს სოლოდოვნიკოვის ანდერძიდან ამონაწერი წაუკითხა ქალაქის საბჭოს: სოლოდოვნიკოვს თავისი შეძლების მესამედი — 12 მილიონი — ქალაქისათვის უანდერძებია სახლების ასაშენებლად. ამ სახლებში იაფი სადგომები უნდა მოაწყონ ღარიბებისათვის.

ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად დაარსებულმა საზოგადოებამ გრუზინოში სახალხო სახლი გახსნა და სუხარევის მოედანზე ჩაის დასალევი. ორივე შენობა ფართოა და კარგად მოწყობილი; აქვე გამართულია სამკითხველო, წიგნთ-საცავი და აუდიტორიები. საჭმელი იაფია. ორივე შენობა 14,000 მანეთადაა დაქირავებული. მალე ხიტროვკაზე და ტრუბის მოედანზედაც გახსნიან ჩაის დასალევ სახლებს.

პრეტორია. დღეს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პრეზიდენტის შვილი, ტიარტ კრიუგერი გარდაიცვალა. დიდი ხანი არაა, რაც ტიარტ კრიუგერი ესკოვოში, ზულუსების ქვეყანაში ინგლისელებს დაჰნებდა.

როგორც ახალი ცნობებიდან სჩანს, სიმაგრე იტალიასთან ბრძოლის დროს ბურებს ბრძოლის ველზე 305 კაცი დაუტოვებიათ.

ლედისმიტი. ინგლისელებს უფრო ძლიერ გაუმარჯვნიათ ზულუსების ქვეყანაში, ვიდრე აქამდე იუწყებოდნენ: 200 ბური მოუკლავთ, 300-ზე მეტი დაუჭრიათ და დაუტყვევებიათ. მაიორი ჩაპმანი მეტად ხერხიანად მოქცეულა.

რამდენიმე პოლიციელი მკვდარი მოუკლავთ. ერთი ინგლისელი პოლიციის ოფიცერი ბურებს ჩავარდნია ხელში.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ირლანდიელების მეთაურებს განზრახვა აქვთ ამ შემოდგომაზე ბევრი კრება მოახდინონ. რამდენიმე კრება მოახდინეს კიდეც. ამ კრებებზე დილონმა და ჯონ რედმონდმა ილაპარაკეს. ირლანდიელთ შეერთებული დასის მეთაური ჩრდილოეთ ამერიკაში აპირებს წასვლას; ამიტომ წარსულს სამშაბათს თავის ამომრჩეველებს გამოემშვიდობა. სხვათა შორის მეთაურმა ურჩია ირლანდიელების დასს, ამას იქითაც იმ გზით იარეთ, რა გზასაც ამ ბოლოს დროს დაადექითო. რედმონდმა სთქვა:

«პარლამენტის წარსულ კრებაზე ირლანდიის დასმა დიდი ძალა გამოიჩინა. ეს ძალა ერთობასა და თანხმობაზეა დამყარებული. ჩვენი დასი არც ერთ ინგლისურ პოლიტიკურ დასს არ უნდა უდგებოდეს, თავისი საკუთარი გზით უნდა მიდიოდეს. ირლანდიელები მარტო თავიანთ საკუთარ სარგებლობას უნდა ეძებდნენ. ჩვენი დასი კონსერვატორებსაც მიემხრობა, ლიბერალებსაც, რადიკალებსაც და მუშათა დასსაც, მოკლედ ვსთქვათ, ყველას, ვინც კი დაგვეხმარება, რომ ჩვენი ეროვნული უფლება მოვიპოვოთ. ირლანდიის პარლამენტალურ თვითმმართველობაზე უნდა ვსთქვა, რომ ინგლისელები იძულებულნი იქნებიან ირლანდიის საკუთარი პარლამენტი დაუწესონ ეს საქმე მალე ასრულდება. ინგლისის რომელიმე დასი უსათუოდ მოახდენს ამ რეფორმას. რასაკვირველია, ირლანდიის სურვილის დასაკმაყოფილებლად კი არა, თავისი საკუთარი სარგებლობისთვის მოახდენს, რომ ამით ინგლისის პარლამენტი დაღუპვისაგან დაიხსნას (ტაშის ცემა). ინგლისის პარლამენტი დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. რამდენიც ბრიტანიის იმპერია იზრდება, პარლამენტსაც იმდენი უფრო უჭირდება ადგილობრივი საქმეების განხილვა. ამიტომ, რომ თავის საქმეს რიგზე გაუძღვეს, ინგლისის პარლამენტი იძულებული იქნება ზოგიერთი საქმე ადგილობრივ კანონ-მდებელ კრებებს გადასცეს. ირლანდიასაც მიეცემა საკუთარი პარლამენტი და მაშინ ჩვენი ქვეყანა თავის საკუთარ საქმეებს თითონვე მოაწყობს.»

რედმონდმა გაიხსენა, რომ უნიონისტებს ირლანდიელ დეპუტატთა რიცხვის შემცირება სწადიათო, და სთქვა:

«არა მჯერა, რომ უნიონისტებმა ეს მუქარა აასრულონ; თუნდაც შეასრულონ, თავდებად ვდგები, ოღონდ 60, 50 და გინდ 20 მხნე დეპუტატი კი გვყვანდეს პარლამენტში და ყოველთვის მოვახერხებთ, ისევ ისე გაუჭიროთ საქმე ინგლისის მთავრობას, როგორც კვლავ გაგვიჭირვებია ხოლმე».

საფრანგეთი. ბერების კრებულებს 1 ოქტომბრამდე (ახ. სტ.) ჰქონდათ ვადა, რომ მთავრობისაგან ნება აეღოთ და საფრანგეთში დარჩენილიყვნენ. ეს ვადა გავიდა კიდეც და მხოლოდ ბერების კრებულების უმცირესობამ სთხოვა მთავრობას ნება-რთვა. როგორც ეხლა გაზეთები იუწყებიან, ბერების კრებულების უმეტესობას გადაუწყვეტია ახალ-კანონს ნურაფრად ჩავაგდებთო და მთავრობას საფრანგეთში დარჩენის ნება რთვას ნუ ვთხოვთო, მარტო ძალას დავემორჩილებითო. კრებულები ამბობენ: თუ ჩვენი ნება-ყოფლობით საზღვარ-გარეთ გადავესახლებით, ამით მხოლოდ მთავრობას გავახარებთო, მთავრობასაც სწორედ ეგ უნდა, რომ ჩვენ საფრანგეთიდან წავიდეთო.

✿ ამ დღეებში მინისტრებმა მოილაპარაკეს, პარლამენტი როდის შევკრიბოთო. სამინისტროს ჰსურდა, 9 (22) ოქტომბერს შეეკრიბნა პარლამენტი, მაგრამ არ იციან, საბიუჯეტო კომისია დაასრულებს მანამდე თავის საქმეებს, თუ ვერა. რადგანაც პალატას მეტად ბევრი საქმე ექნება განსახილველი, ამიტომ მინისტრებმა გადასწყვიტეს, ურჩიონ პალატას, რომ ყოველ კვირაში, ზოგიერთ დღეს, დღეში ორჯელ შეიკრიბოს ხოლმე. თუ ესე არ მოიქცნენ, პალატა წლის დამლევამდე ვეღარ მოასწრობს და მუშების დაზღვევის თაობაზე შედგენილ პროექტს ვერ განიხილავსო.

გერმანია. ბერლინის საბჭოს ისევ კაუფმანი აურჩევია ქალაქის თავის თანაშემწედ. იმპერატორი ძლიერ უწყრება თურმე ამაზე საბჭოს. ამ დღეებში ქალაქის თავი კირშნერი იმპერატორთან მისულა საქმეზე და იმპერატორს არ მიუღია: დრო არა მაქვსო.

✿ ლიუბეკში ამ დღეებში სოციალ დემოკრატების მეთორმეტე კონგრესი გაიხსნა. სოციალისტები სახალხო სახლში იკრიბებიან.

თავმჯდომარედ დეპუტატი სოციალისტი ზინგერი აირჩიეს, თავმჯდომარის თანაშემწედ — დეპუტატი დიუბეკ-შვარცი.

სოციალისტი ედუარდ ბერნშტეინიც ესწრება კრებებს. ამ ბერნშტეინს სოციალისტები მოღალატედ სთვლიან და ამიტომ ძლიერ მკაცრად ჰკიცხავდნენ.

დეპუტატმა ბებელმა კრება გახსნა და თავის ამხანაგებს უთხრა: მომილოცავს, რომ დეპუტატის თანამდებობა შეგრჩენიათო.

კომიტეტმა ურჩია კონგრესს: რაცა კი კონგრესს სოციალისტთა დასის წყობილებაზე ექნება ლაპარაკი, გარეშე ხალხს და გაზეთების წარმომადგენლებს ნუ შემოუშვებთ კრებაზეო. ზოგიერთმა დელეგატმა და ამათში ქ-ნ ლუქსემბურგმაც პროტესტი გამოაცხადეს ამ აზრის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ: ვაი თუ ასეთი დადგენილება სამუდამო წესად დაიდოსო. ბებელი უპასუხებს: ზოგიერთ საქმეზე საჯაროდ ლაპარაკი სწორედ შეუძლებელიაო. სოციალისტების დასი რომ დაარსდა, მთელი 15 წლიწადი სულ საიდუმლოდ იხილავდა თავის საქმეებსაო, მაგრამ ამით არა დაშავებულა რაო. კონგრესს ყოველთვის შეუძლიან თავისი დადგენილება უარ-ჰყოს და ყველა გაუშვას თავის კრებაზეო. დელეგატთა უმეტესობამ დაადგინა, რომ კრებები საჯარო ნუ იქნებაო.

ამას წინად ქ. ჰამბურგში გადამტანებმა გაფიცვა მოახდინეს, ბოლოს კი ისევ მუშაობა დაიწყეს, თუმცა სოციალისტთა კომიტეტებმა დაადგინეს: გაფიცვა განაგრძეთო. დელეგატებმა კონგრესზედაც ჩამოაგდეს ამ საქმეზე ლაპარაკი და დიდი კამათი გამართეს.

ავსტრო-უნგრეთი. გაზ. «ნოიე ფრეიე პრესსე» იუწყება: მლადოჩეხები და სტაროჩეხები ხომ შეთანხმდნენ, ეხლა მლადოჩეხები ჩეხ რადიკალებთანაც მორიგდნენ. მლადო-ჩეხები რადიკალებს ორი დეპუტატის ადგილს უთმობენ ბოჰემიის სეიმში.

იგივე გაზეთი იუწყება: ჩეხის აგრარიებმა ურჩიეს მლადო ჩეხებს: მორიგდით და ყველა ჩეხებმა ერთად ვიმოქმედოთ მომავალ არჩევნებშიო. ამისათვის საჭიროა, ყველა დეპუტატმა — ჩეხებმა ერთი კლუბი დავაარსოთო, თავი და თავი საგანი ამ კლუბისა — ჩეხების საზოგადო უფლებათა დაცვა უნდა იყოსო. ამას გარდა განზრახვა აქვთ, რეიხსრატის ყველა დეპუტატი ჩეხებიც მოარიგონ და ერთად ამოქმედონ. სოციალისტ-ნაციონალისტ ჩეხებსაც მიიღებენ ამ კლუბშიო.

შეერთებული-შტატები. რუზველტი კუნძულ კუბის გენერალ-გუბერნატორს ვუდს მოელაპარაკა და გადასწყვიტა, კუბას სადამოგნო პირობებით შეეკრას. ამ ხელ-შეკრულობის პროექტს დეკემბერში წარუდგენენ კონგრესს. ჰფიქრობენ, კუნძულ კუბაზე რომ ამერიკული პური და მანქანები გაჰქონ, მცირე ბაჟი დაედებაო; მეორეს მხრივ კუბის უმთავრესს საქონელს თამბაქოსა და შაქარს შეერთებული შტატებიც შედავათს მისცემს და დიდ ბაჟს არ დაადებსო.

✿ ნიუ-იორკში ოქტომბერში ქალაქის თავი უნდა აირჩიონ. ყველა დასი ეხლავე მზადებას შეუდგა და სცდილობს თავისი კანდიდატი დააყენოს ამ ვებას ქალაქის თავადაო. ნიუ-იორკი მეტად დიდი ქალაქია, თითქმის 4 მილიონი სული სცხოვრობს ამ ქალაქში. ამიტომ აქაურ ქალაქის თავსაც ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. «ტაიმს»-ის კორესპონდენტი სწერს: «დიდ-ძალი ხალხი უჩივის ეხლანდელი მმართველობის წესებს, ყველა უკმაყოფილონი შეერთდნენ და ერთი დასი შეადგინეს. ამ დასს სახელად «რეფორმის დასი» ჰქვიან. თუ «რეფორმის დასი» მხნედ მოიქცა, ჰფიქრობენ, რომ ეხლანდელი ქალაქის მმართველებს დაამარცხებსო». რეფორმის დასს სწადიან, კოლუმბიის უნივერსიტეტის რექტორი სეტ-ლოუ აარჩიოს ქალაქის თავად. ლოუს გავლენიანი სენატორი პლატი ემხრობა.

✿ ჩიკაგოში რომ ცხრა ანარქისტი დაატუსაღეს, ეხლა გაუნთავისუფლებიათ, ემა გოლდმანსაც მალე გაანთავისუფლებენო.

✿ ფინანსთა მინისტრს გადაუწყვეტია, 150 ათასი დოლარი მოსთხოვოს ხარჯად, რომ ამ ფულით ანარქისტებს ბეჯითად თვალ-ყური ადევნოს მთავრობამაო.

✿ სენატორ ჰანნას რაიმ ვიღაცამ ქვები ესროლა, ეს კაცი დღევანდლამდე ვერ დაუჭერიათ.

✿ ამერიკის მესაათებს დიდი საზოგადოება («ტრესტი») დაუარსებიათ. ახალ ტრესტს სწადიან, მთელ ქვეყნიერობაზე საათების ვაჭრობა ხელში ჩაიგდოს. თანხა 74,000,000 დოლარი აქვს. ამ ტრესტს ცნობილი ფინანსისტი მორგანი უწევს ხელ-მძღვანელობასა და მფარველობასაო.

✿ «დეილი ტელეგრაფ»-ს სწერენ: თეოდორ რუზველტი ყველას აკვირვებს თავის სითამამით და უბრალო ქცევით. ვაშინგტონში ისე დასეირნობს ქუჩა-ქუჩა ქვეითად, თითქო შეერთებული შტატების პრეზიდენტი კი არა, ვინმე უბრალო მოქალაქე იყოსო.

ჩინეთი. «ტაიმს»-ს სწერენ შანხაიდან: წყალდიდობამ მდინარე იანძეს ახლო მდებარე ოლქები მეტად დააზარალა; 10 მილიონზე მეტი ხალხი უსახლ-კაროდ არიან დარჩენილნი. ჩინეთის მთავრობა ცდილობს ხალხს დახმარება გაუწიოს, მაგრამ ამდენ ხალხს როგორ უნდა უშველოს ზამთარში ხომ უფრო გაუჭირდება ხალხს. ეშინიათ, ვაი თუ დიდი არეულობა და შფოთი მოხდესო.

სპარსეთი. თეირანიდან იწერებიან: შაჰის ბრძანებით 150 ყმაწვილი, სულ დიდი კაცის შვილები, კონსტანტინეპოლს, პარიზს, პეტერბურგს, მოსკოვსა, ლონდონსა, ბერლინსა და ვენაში იგზავნებიანო. ყმაწვილები სპარსეთის მთავრობის ხარჯით სხვა-და-სხვა სასწავლებლებში შევლენ სასწავლებლადაო.

შვეიცარია. «მემორიალ დიპლომატიკ»-ი სწერს: ქალ. ბერნში ამ მოკლე ხანში საერთაშორისო კონფერენცია შეიკრიბება და მოილაპარაკებს, თუ რა ღონისძიება მიიღონ ანარქისტებთან საბრძოლველადაო.

ახალი ამბავი

✦ ტფილისის საქალაქო არჩევნები, როგორც ჰფიქრობენ, მოხდება მომავალ წლის თებერვალში ან მარტში.

✦ სამხედრო ბეგრის საქალაქო საკრებულო დაიწყებს მუშაობას 15 ოქტომბრიდან. პირველ დღესვე მოხდება სამხედრო სამსახურში გასაწვევთა სიების შემოწმება და კენჭის ყრა; შემდეგ დღეებში კი გაწვეულთა საექიმო შემოწმება.

✦ ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს დადგენილება განსვენებულ გ. ევანგულოვის ქალაქის ხარჯით დამარხვისა და კუბოზე გვირგვინების მიტანის შესახებ.

✦ მომავალ საიუბილეო დღესასწაულის დროს ჯარების გასამასპინძლებლად ქ. ტფილისმა და თავად აზნაურობამ გადასდო 10,000 მ. ამ ფულებიდან ნახევარს ქალაქი გადაიხდის და ნახევარს თავად-აზნაურობა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დანიშნა საგანგებო კომისია სახალხო სკოლების დირექტორის ბ. დიმიტრიევის თავმჯდომარეობით ტფილისის სახელოსნო სკოლის სარევიზიოდ. კომისია უკვე შეუდგა რევიზიას.

✦ დღეს, 20 სექტემბერს, ქართულ თეატრში დრამატიულ საზოგადოების დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება სამ-მოქმედებიანი კომედია „დაქცეული ოჯახი“ გ. სუნდუკიანცისა და ბ-ნ აწყურელისაგან ნათარგმნი ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა“. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობენ თითქმის ყველა არტისტები. ანტრაქტებში დაუკრავს ლოიკოს მებალალაიკეთა ხორო.

✦ ავჭალის ქუჩაზე, სახალხო კითხვათა და წარმოდგენების დარბაზში, რომელიც

ბიბლიოთეკა

ახლად იქმნა შეკეთებული, ქართული სცენის მოყვარენი შაბათს, 22 სექტემბერს წარმოადგენენ გ-ნ გულისაშვილის დრამას „დრონი მეფობენ“.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით, **ტეხნიკურ სასწავლებლების** უფროსების კომისიამ შეიმუშავა ერთ-გვარი პროგრამა ხელოსნობის სწავლებისა კავკასიის ყველა ტეხნიკურ სასწავლებლებისათვის. ეს პროგრამა მოიწონა ბ. ზავადსკიმ და საცდელად ამ წლიდანვე იქნება შემოღებული ხსენებულ სკოლებში.

✦ ახლო მომავალში, როგორც შევიტყეთ, ტფილისში ჩამოვა **ცნობილი ქიმიკოსი** პროფესორი მენდელეევი.

✦ ამ დღეებში ტფილისის გუბერნიის სამმართველომ გაუგზავნა დამატებითი ოქმი **გამოფენის კომისარს** თავ. ანდრონიკაშვილს; როგორც ოქმში ნაჩვენებია, უნდა დაევალოს ნავთის მრეწველთა პავილიონის გამგეს შეაკეთოს კოშკზე ასასვლელი კიბე ზოგიერთ ადგილას და ამასთანავე კოშკზე ასვლის ნება ერთ-ჟამად მხოლოდ 15 კაცის მეტს არ მიეცეს. რაც შეეხება „რუსეთ-ამერიკის მთებს“. მათზე მოძრაობა არ იქმნება ნებადართული, ვიდრე კიდევ ხელმეორედ არ შეამოწმებენ.

✦ გუშინ წინ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო **გამოფენის კომისარს** სთხოვეს ვიღაც ლეო და დიმბერგმა ადგილი ახალის პავილიონის გასამართავად „ინგლისი და ტრანსვაალის“ სახელწოდებით; პავილიონში დაწვრილებით იქნება ცნობები სამხრეთ-აფრიკის ომის შესახებ; აღნიშნულ პირთ კიდეც დაერთოთ ნება პავილიონის გამართვისა. ეს პავილიონი პირობით ოთხ ხუთს დღეში უნდა გააკეთონ.

✦ გამოფენის **კომისარიატი** დარწმუნდა, რომ ვერც „მარკების“ საშუალებით ხერხდება ნამდვილი კანტროლი გამოფენაზე შემოსულ ფულისა და ამიტომ ამ ორ დღეში მოსპობენ მარკებით ვაჭრობას.

✦ გუშინ დანიშნული იყო გამოფენაზე მებაღეთა კრების წარმომადგენელთა და სხვებისათვის სეტყვის **ზარბაზნის** საცდელი სროლა; ყველა შეიკრიბა, მაგრამ ცდა ვერ მოახდინეს, ბ. გოგოლ-იანოვსკი არ მოვიდა და ზარბაზნის გასაღები კი მას ჰქონდა.

✦ **გამოფენა** დილის ცხრა საათზე უნდა იხსნებოდეს; ნამდვილათ კი 10-ზე ადრე არ ხსნიან. გარდა ამისა სხვა და სხვა განყოფილებათა გამგეები 12 საათამდე არ მოდიან გამოფენაზე, ზოგი სრულებითაც არ მოდის. საჭიროა წესი დამყარდეს საგამოფენო ადმინისტრაციაში.

✦ 26 სექტემბრისათვის დანიშნულია **ექსპერტიზა** სამეურნეო იარაღებისა, 2 ოქტომბერს სამთო განყოფილების ექსპონატებისა და 6-ს—მიწად-მოქმედებისა.

✦ გამოფენის **კომისარიატმა** მოსპო გამოფენის ეტნოგრაფიული განყოფილება; უკანვე გაგზავნა ოსების, ლეკების, სომხების და ურიების წარმომადგენელნი. მიზეზი ამ განკარგულებისა ის არის, რომ ძვირად ჯდებოდა ამ წარმომადგენელთა შენახვა.

✦ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა გამოუგზავნა კავკასიის გამოფენის მომწყობ კომიტეტს შემდეგი ჯილდოები საუკეთესო ექსპონატების პატრონების დასაჯილდოებლად: ორი ოქროს მედალი, 25 ვერცხლის, 65 ბრინჯაოსი და 8 მოწმობა მედლისა.

✦ გამოფენის **სარძეო განყოფილების** გამგეს ბ. ქალანთარს განზრახვა აქვს გამოსცეს პატარა წიგნაკი კავკასიაში სარძეო მეურნეობის მდგომარეობაზე და საჭიროებებზე.

✦ დღეს გამოფენის ბეჭდვითი სიტყვის კომისია განიხილავს ერთ უსიამოვნო ინციდენტს, რომელიც მოხდა ბ. ბეგიჩევსა და გამოფენაზე მოსულ ერთ ლიტერატორს შუა. როგორც ამბობენ, ბეგიჩევი მეტად უზრდელად უნდა მოპყრობოდეს ხსენებულ ლიტერატორს.

✦ როგორც გადმოგვცეს, „**გამოფენის** ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების დროებითი გამგე ბ-ნი უთნელოვიც რაღაც მიზეზისა გამო თავს ანებებს თავის თანამდებობას.

✦ გუშინ, 19 სექტემბერს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **გამოფენაზე** იყვნენ, სხვათა შორის, ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის პირველ და მეორე კლასის შეგირდები, სულ 118 კაცი.

✦ გუშინ, შუადღის 2 საათზე, მებაღეთა კრების წევრებმა დაათვალიერეს **სასახლის ბაღი**, სადაც მათ დახვდათ მთავარმართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი. მისი ბრწყინვალება მთელი ორი საათის განმავლობაში უხსნიდა ექსკურსანტებს სხვადა სხვა მცენარეების თვისებებს და მათ კულტურას. როგორც ექსკურსანტები დარწმუნდნენ, თ. გ. ს. გოლიცინის დროს ხსენებულ ბაღს ძლიერ მოუმატნია სხვა და სხვა ძვირფასი და თფილ-ქვეყნის მცენარეების. ბაღში ექსკურსანტების ყურადღება მიიქცია, სხვათა შორის, ვარდის კულტურამ. 2100-ზე მეტი სხვა და სხვა ჯიშის ვარდია გაშენებული, ბაღი შესამჩნევია ეგრეთვე უცხო ქვეყნების კულტურის მხრითაც.

✦ **ოზურგეთიდან გვწერენ**: „მკითხველებმა იციან, რომ ოზურგეთში, უმაღლესის ბრძანებით, ხელ ახალი საარჩევანო კრება უნდა მოხდეს, რომელზედაც უნდა არჩეულ იქმნენ ხელ-ახლად ქალაქის რწმუნებულები; ამ მიზნით ეხლა, ქუთაისის გუბერნიის მმართველის ბრძანებით, ახალ საარჩევნო სიებს ამზადებენ. საყურადღებოა ამ შემთხვევაში ერთი გარემოება: კანონით (საქალაქო დებულების მუხლი მე-33, პუნკტი მე-7) საარჩევნო სიებში არ მოითავსება ისეთი კაცი, რომელიც სასმელებით ვაჭრობს წვრილმანად. ეს კანონი ჯერ გაუქმებული არ არის. მაშასადამე, ოზურგეთის ქალაქის ახლანდელი თავი, როგორც აღნიშნული სასმელების ვაჭარი, საარჩევნო სიებში არ უნდა შევიდეს. ქალაქის მოურავად კი შეიძლება იქნეს მხოლოდ ისეთი კაცი, ვინც საარჩევნო სიაშია მოხსენებული. ამ აზრით, როგორც გავიგეთ, ზოგიერთ ოზურგეთელ ამრჩევლებს უკვე განცხადება შეუტანიათ, სადაც ჯერ-არს ეჭვს გარეშეა, რომ ეს კითხვა უნდა გაირჩეს საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოში და დიდად საინტერესოა, როგორ შეხედვენ საკრებულოს წევრნი ამ იურიდიულ კითხვას“.

✦ ახლად გარდაცვალებულის ტფილისის ქალაქის მოურავის გ. **ევანგულოვის დასაფლავების** გამო დღეს, 20 სექტემბერს, ტფილისის ქალაქის სამმართველოში შეწყვეტილ იქმნება მუშაობა.

✦ ტფილისის **ქალაქის** გამგეობამ მოსთხოვა ყველა თავის განყოფილებებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ წარსულის წლის მოქმედების ანგარიშები. გამგეობა მოვალე იყო გამოეცა ეს ანგარიშები გასულ ივნისისათვის.

✦ რადგან პოლიციის მეათე ნაწილში, განსაკუთრებით დიდუბეში, **ყვავილი** გაძლიერდა (8 შემთხვევა იყო), სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა წინადადება მისცა მეათე ნაწილის ექიმს. გამოიკვლიოს—საიდან და როგორ გაჩნდა ეს გადამდები სენი.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მოსამსახურე ინჟენერ რუდნიცკის მოსვლია ფოსტით 150 მ. ფოსტის უწყება გაუგზავნია რუდნიცკისათვის, მაგრამ, რადგან ფოსტის მოხელეს თვითონ რუდნიცკი ვერ უნახავს, უწყება ვიღაც სხვა მოხელისათვის მიუცია ადრესატის გადასაცემად. ეს 150 მან. რუდნიცკის სახელით უკვე აუღია ვიღაცას და თვით რუდნიცკის კი მხოლოდ ეხლა ხან შეუტყვია, რომ მის სახელზე ფული იყო მოსული. გამოძიება სწარმოებს.

✦ მომავალ 1902 წელს ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს დასჭირდება შემდეგი **ტყის მასალა**: ფიჭვის „შპალი“ 340 000 ცალი, მუხისა 60,000 ცალი, ტელეგრაფის ბოძებისათვის 7,000 ცალი მუხის ხე სიმაღლით 143,000 კუბ. ფუტი, ფიჭვისა, ნაძვისა და თხმელისა სულ ერთად 425.000 კუბიკური ფუტი და ფიცარი 2,000 კუბ. ფუტი. ამ მასალის შესაძენად სამმართველოს საჯარო ვაჭრობა დაუნიშნავს. დაინტერესებულ პირთ დაახლოვებითი ცნობები შეუძლიანთ გასინჯონ რკინის გზის სამმართველოში. საჯარო ვაჭრობისათვის ჯერ ვადა არ არის გამოცხადებული.

✦ „მოსკოვ. ვედომ“-ის სიტყვით, ბელგიელ კაპიტალისტების ერთ საზოგადოებას განუზრახავს **შავი ზღვისა და ბალტიის ზღვის არხით შეერთება**. ამ დიდის საქმის აღსრულებისათვის საზოგადოებას გადაუდევია 140 მილიონი მანათი. მაგრამ ამბობენო, დასძენს გაზეთი, რომ მთავრობა ნებას არ აძლევს საზოგადოებას, რადგან განზრახვა არის—თვით ხაზინამ ითავოს ეს საქმეო.

✦ 18 სექტემბერს, დღით რიყის ქუჩაზე მდგომ ტფილისის მოქალაქის ქვრივ ავდოთია არტემიევისასთან მისულა შავს ტანისამოსში გამოწყობილი და შალში გახვეული მაღალი ტანის ახალგაზრდა ასე 26 წლის ქალი ტომით რუსი, გადაუცია ბავშვი და უთხოვნია ძალიან საჭიროება მაქვს, რამდენიმე წამით შემინახეო; არტემიევისას ბავშვი დაუტოვებია, მაგრამ რამდენიმე წამი კი არა, რამდენიმე საათიც გასულა და ბავშვის პატრონი აღარ დაბრუნებულა; არტემიევისას ეს ამბავი პოლიციის მე-8 ნაწილში განუცხადებია, შესდგომიან ქალის ძებნას, მაგრამ ჯერ ვერ უპოვნიათ, ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

პრესსა

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობათა სარგებლობის შესახებ არა ერთხელ გაუგონია მკითხველს. აქას წინად ჩვენ მოხსენებული გვქონდა, რომ ბოლოს დროს პოლონეთის სოფლებში და ქალაქებში ენერგიულად შეუდგნენ ამგვარ დაწესებულებათა დაარსებას. ახლა „ვარშავ. დნევნიკ“-ი სწერს, რომ დასახელებულ საზოგადოებათ უკვე მოუტანეს კეთილი ნაყოფი. უმთავრესი საგანი მათი ის არის, რომ მოსპონ შუამავლობა მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის, რადგანაც ეს შუამავალნი ტყავს აძრობენ როგორც პირველთ, ისე მეორეთ, აძვირებენ საქონელს, ხშირად აფუჭებენ კიდეც ნაწარმოებს დ სხვა. ხსენებულ გაზეთის სიტყვით,

> „მწარმოებელნი თავდაპირველად ეჭვის თვალით უყურებდნენ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა მოღვაწეობას და კიდეც შეებრძოლენ მათ. მაგრამ შემდეგში დარწმუნდნენ მათ სარგებლობაში, რა-კი დაინახეს, რომ, თუმცა ამხანაგობანი ცდილობენ იაფად შეიძინონ ნაწარმოები, სამაგიეროდ აფართოვებენ ბაზარს და ამრავლებენ მყიდველ-მომხმარებელთა რიცხვს. ეხლა მექარხნეებიც ხშირად სარგებლობენ ამ ამხანაგობებით და ცდილობენ მათ საშუალებით გაასაღონ თვისი ნაწარმოები მომხმარებლებზე. საზოგადოდ, ახლა ამ ამხანაგობათა მოქმედებით უკმაყოფილონი არიან მხოლოდ ვაჭარ-შუამავალნი, რადგან შესამჩნევად ვიწროვდება მათი სამოქმედო ასპარეზი«.

⁂

რუსულს გაზეთებს კიდევ არ დაუსრულებიათ ჩივილი იმის შესახებ, რომ სკოლებში ადგილები არ არის და მრავალ ბავშვს არ იღებენ. საოცარ და სამწუხარო ამბებს გვატყობინებენ ამ მხრივ გაზეთები, მაგრამ ყველაზედ უფრო საოცარი ფაქტი „ნოვ. ვრემია“-ში ამოვიკითხეთ.

> „ეს კიდევ არაფერიაო, სწერს გაზეთი, რომ უადგილობის გამო სკოლებში არ იღებენ ბავშვებს, ამაზე მეტი უბედურება ის არის, რომ ახლა უადგილობისა გამო სკოლებიდან ითხოვენ ბავშვებს, რომელთაც არაფერი დაუშავებიათ და კარგადაც სწავლობენ. ასეთი მაგალითი სამარაში იყო წელს. იქაურ საქალებო გიმნაზიის მერვე კლასიდან გამორიცხეს 13 მოწაფე, რადგან ადგილი აღარ იყო“!..

ამისთან გულ-გასახეთქი ფაქტი ბევრი ვერ მოიძებნება ჩვენს ყოველისფრით „დაქვეითებულს ცხოვრებაშიაც!

⁂

გაზეთი „კურიერ“-ი ისევ უბრუნდება კითხვას იმის შესახებ, რომ საჭიროა ან დროა წერა კითხვის საყოველთაო და სავალდებულო სწავლება დაწესდეს რუსეთშიო.

> „წერა-კითხვაო, ამბობს გაზეთი, პრივილეგია აღარ არის ჩვენს დროში; წერა-კითხვის ცოდნა-აუცილებელი საჭიროებაა ყოველ ადამიანისთვის. არც კერძო ცხოვრებაში, არც არავითარი მოღვაწეობაში არ გამოდგება ახლა კაცი, თუ წერა-კითხვა მაინც არ იცის; ყოველ ბიჯის გადადგმაზე სჭირია ახლა ადამიანს წერა-კითხვის ცოდნა და, ვინც არ იცის, იძულებულია ყოველ წამს, ყოველ შემთხვევისათვის ეძიოს თავისი მაგიერი, რომელმაც ან უნდა წაუკითხოს რამე, ან ხელი უნდა მოუწეროს რამეზე. კანონთა კრებული ამბობს, რომ კანონთა ცოდნა რუსეთში ყველასათვის სავალდებულო არისო. თუ ეს ასეა, მაშ ზნეობრივი ვალდებულებაც უნდა არსებობდეს, რომ ყოველს ადამიანს შეძლება მიეცეს კანონი იცოდეს, რისთვისაც კითხვა მაინც იცოდეს. ამ ჟამად სახელმწიფო ხალხის ერთ ნაწილს ასწავლის, მეორე სიბნელეში რჩება; ამით პირველთ უპირატესობა უვარდებათ ხელში, რომლითაც ისინი ხშირად სარგებლობენ მეორე ნაწილის დასაჩაგრავად. ჩვენი რეაქციონერები სარგებლობენ ამ ფაქტით და გაიძახიან—აი, რა მავნებელია ხალხში ცოდნის გავრცელება; თითო-ოროლა მცოდნე სარგებლობს თავის უპირატესობით თავის მოძმეთა საწინააღმდეგოთო. მაგრამ აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ საჭიროა ყველამ იცოდეს წერა-კითხვა“...

უცხოეთის წვრილმანი

I

ისტორია იმას გვასწავლის, რომ 20 საუკუნეა კაცობრიობა ფანატიკოსობასა და დესპოტიზმს ებრძვის და ქრისტედან დაწყებული დღეინდელს დღემდის პირადობის, სინიდისისა და კერძო უფლებების თავისუფლებისათვის იღვწის კაცობრიობა. სხვადა-სხვა მოვლენა ცხოვრებისა კი იმას გვაჩვენებს, რომ კაცობრიობას სისხლსა და ხორცში აქვს გამჯდარი პირუტყვული ჯალათობა, სხვისის აზრისა და გრძნობის მოუთმენლობა. კიდევ არაფერი იქმნებოდა, რომ ასეთი დანაშაული ისეთი წრეების წარმომადგენელთ არ მიუძღვოდეთ, რომელნიც კაცობრიობის მოწინავე გუნდათ ითვლებიან.

ამას წინად პარიზის სოციალისტ-რევოლიუციონერებთა ერთმა ჯგუფმა უცნაური ყაილა აუტეხეს გამოჩენილ მეთაურს სოციალიზმისას ჟორესს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჟორესის 11 წლის ქალიშვილს, კათოლიკეთა სჯულის მოთხოვნილებისამებრ, პირველად მიუღია ზიარება. ეს, რასაკვირველია, არაფრათ ეჭაშნიკათ სოციალისტებს და თავისუფალ მოაზრეთ. როგორ, სოციალიზმის მეთაურმა კათოლიკეთა სარწმუნოების მომხრეობა მოიწადინაო, ეს ხომ მთელის პარტიის პრინციპების გადალახვააო. გაზეთ „la Petite Rèpublique“-ის 11 ივლისის ნუმერში თავი იმართლა: ჩემი ცოლი ქრისტეს მორწმუნეა არა მარტო თეორიტიულად, არამედ პრაქტიკულად, ე. ი. ეკკლესიის დაწყებულ ჩვეულებებს მტკიცედ ასრულებსო. მიუცილებელი იყო ოჯახის მშვიდობიანობისთვის, რომ რამენაირად შევთანხმებულიყავით ჩემი ცოლი—დედა, ქრისტეს ეკკლესიის წესების აღმასრულებელი და მე—მამა—სოციალისტი და თავისუფალი მოაზრე. ჩემის აზრით, მე არა მქონდა უფლება აღმეკრძალა ბავშვებისათვის დამორჩილებოდნენ დედას სჯულის წესების აღსრულებაში, მაგრამ იმავე დროს, ჩემისავე აზრით, მე ვალდებული ვიყავი ჩემი შვილები აღმეზარდა საერო სკოლებში და ამით უზრუნველ მეყო მათის აზრისა და სინიდისის თავისუფლება. ამ მოვალეობას მე ყოველთვის მტკიცედ ვასრულებდი. ჩემი ქალი მოლიერის ლიცეიში აღიზარდა; თავისს დღეში იმას მასწავლებლად ერის კაცს გარდა არავინ ეყოლება და სრული დარწმუნებული ვარ, ამ გზით მივაღწიო იმას, რომ უდავიდარაბოდა და უტანჯველად ჩემმა ქალმა შეიგნოს ის, რაც მე მიმაჩნია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეშმარიტებად. ჩემის ცხოვრების არსებითის პრინციპისათვის მე ზურგი არ შემიქცევია, განაგრძობს ჟორესი, და მე ვეკუთვნი ჩემს პარტიას, „ყოველივე ჩემის ძალ-ღონითა და სისუსტით“.

ამით არ დაკმაყოფილდა სოციალისტთა პარტიები და ერთმა ჯგუფმა, უფრო ფანატიკურად განწყობილმა, მიჰმართა სოციალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტს და თხოულობდა განესაჯათ ჟორესი. ექვსის კვირის დაობისა და ლაყბობის შემდეგ მთავარმა კომიტეტმა შემდეგი დასკვნა დაადგინა: მთავარ კომიტეტს აქვს ნება იქონიოს ზედამხედველობა პარტიის წევრების შესახებ, მხოლოდ იმ პრინციპების აღსრულებაში, რომლებიც დადგენილია კონგრესებისაგან. და რადგან არცერთ კონგრესს არა უთქვამს რა სარწმუნოებრივის პრინციპების შესახებ, ამიტომაც კომიტეტს არა აქვს ნება თავისს უფლებას გადააბიჯოს და საგნის გამო მოსთხოვოს პასუხი წევრებს. გარდა ამისა სოციალისტთა პარტიის მთავარ კომიტეტს არა აქვს უფლება მოსთხოვოს წევრთ ძალ-მომრეობა იხმარონ ოჯახში და იმ ბურჟუაზულ პრინციპს მისდიონ, რომელიც ცოლსა ჰქმნის ქმრის მონადა და მორჩილად. ცოლ-ქმარი ერთის უფლებით აღჭურვილნი არიან ოჯახში და ზემოხსენებულ შემთხვევაში კი ძალ-მომრეობა იყო საჭირო, რომ დაცულიყო სოციალისტთა შეხედულება სარწმუნოებაზედ. კომიტეტის გარდაწყვეტილება სრულიად სამართლიანია და რიგიანი და მით უფრო საოცარია, რომ დინჯი გაზეთი „ტანი“, საცა ეს ამბავია მოყვანილი, გაცხარებულად განიხილავს ამ გარდაწყვეტილებას და კომედიად უწოდებს. თუ ჟორესი ოჯახში ბურჟუაზული პრინციპის აღმასრულებელია, როგორც უფალი ოჯახისა, იგია პასუხის მგებელი მისი შვილის მოქმედებაშიო, ხოლო, თუ თავისუფალი მოაზრეა და სქესთა თანასწორობის მოსარჩლე, მასაც იგივე უფლება ჰქონდა შვილზედ, რაც დედასაო და, თუ ამით არ ისარგებლა, ჰგავს სრულიად შეგნებულად იმოქმედა და დაუთმო თავისი უფლება ცოლსაო.

გაზეთ «ტან»-ს ვერ მოუნელებია, რატომ სოციალისტთა კომიტეტმა ჯვარს არ აცვეს ჟორესი. ჟორესს ხელი დააფარეს, რაკი პარტიის კაცი იყო, თორემ სხვა რომ ყოფილიყო, ამისთანა საქმისათვის სულს ამოართმევდნენო.

„ტანი“ თავს ლიბერალად სთვლის და თავისუფლება კაცის სინიდისისა მისთვის უმთავრესი პრინციპი უნდა იყოს. მას უნდა გაჰკვირვებოდა ის, რომ ისეთი მოწინავე პარტია, როგორიც სოციალისტთა პარტიაა, ეგრეთ ფანატიკოსობას იჩენს, „ოჯახის საქმეებში ერევა და პასუხის გებაში აძლევს ყოვლად ღირსეულს კაცს იმიტომ, რომ მისმა შვილმა ზიარება მიიღო. ჭეშმარიტად, საოცარია! მოდი და ნუ იტყვი ამას იქით, რომ სოციალისტთა პარტიაც ვერ განთავისუფლებულა იეზუიტურის ფანატიკოსობისაგან.

K.

(შემდეგი იქნება)

პროვინცია

ქიზიყი. მოუსავლობას ზედ დაერთო ქურდობა, რომელიც თითქმის მუდამ ღამე ხდება, ხან ერთსა და ხან მეორე სოფელში. ხალხმა სარჩოს გულისათვის დაყიდა ჩარჩებზე, ჩალის ფასად; რაც დარჩათ კიდევ, როგორც მოგახსენეთ, ქურდებს მიუდით. ამას წინადაც სოფ. არბოშიკის მინდვრიდან ბოროტ-მოქმედნი ღამე დასცემოდნენ და გაეტაცნათ, ორმოცდაცხრა სული ძროხა, რომელთა გზა-კვალი ჯერაც ვერ გაიგეს, თუმცა ადგილობრივი პოლიცია დაეძებს მდევრათა და სრული სამი კვირა სდიეს... რომელ ღამესაც საქონელი დაიტაცეს, მეორე დილით, როცა მეძროხეები ეძებდენ საქონლის კვალს, დაიჭირეს ორი თათარი, რომელთაც მოპარული ცხენები თურმე ელდარზე მიუდიათ. ქურდები ადგილობრივ ბოქაულთან მიეყვანათ მწყემსებს. ამავე სოფელში თორმეტ და ცამეტს ენკენისთვეს კიდევ დაეცნენ ბოროტ-მოქმედნი მინდვრად საქონელს, მაგრამ ერთი ხარის მეტი ვერ წაიყვანეს, რომელიც დაეკლათ მინდორშივე და ტყავი და სამწვადეები წაეღოთ; დანარჩენი მთელი ხარი კი მინდორში ეგდო. სოფ. ტიბაანშიაც დაეცნენ ვენახში დაბმულ ცხენებს წასასხმელად. ცხენები თუმცა ვერ წაასხეს, მაგრამ პატრონი კი იქვე მოკლეს. სოფ. ჯუგაანშიაც ასევე უყვეს საწყალს მეჯოგეს. ბევრი ამ ნაირი ქურდობა მოხდა ქიზიყში, მაგრამ ყურის მგდებელი კი, ალახმა უწყის, ვინ არის. მგონი ადგილობრივი ადმინისტრაცია უნდა ზრუნავდეს, როგორმე ამოკვეთოს, ცოტათი მაინც, თუ სრულიად შეუძლებელია.

მთელი ქიზიყი რომ დაიარო, ერთ თოფს ვერ იშოვით. რა მიზეზია, რომ სხვაგან ეძლევათ სოფლად რამოდენიმე თოფი და ჩვენში კი არა?!.

შირამ-ოღლი

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 სექტემბერი

პეტერბურგი. დანიშნეს—მეათე არმიის კორპუსის გენერალი ვინბერგი—სამხედრო რჩევის წევრად, სამხედრო რჩევის წევრი გენ. გურჩინი ვილნოს სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად, საპიორების 1-ლ ბრიგადის უფროსი გენ. სლუჩევსკი—მეათე არმიის კორპუსის უფროსად, კიევის სამხედრო ოლქის კორპუსის უფროსის თანაშემწე გენ. კოსიჩი—ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსად,

სიმფეროპოლი. 18 სექტემბერს გურზუფში გარდაიცვალა უწმინდესის სინოდის წევრი ბორისი.

კალიში. ს. ხოჩის (კალიშის მაზრა). გლეხები საზღვარზე გადასვლისათანავე დააკავა პრუსიელმა ჟანდარმებმა; გლეხებმა საშინლად სცემეს ჟანდარმს და გრძნობა დაკარგული გადმოათრიეს რუსის საზღვარზე. ადგილობრივი სასამართლო საქმის გამოძიებას შეუდგა. ბრალდებულნი—ორი ძმა ჩაიჩინსკი, კოლინოვიჩი და რისტერი დაპატიმრებულნი არიან.

კანტონი. გერმანელების სამისიონერო სადგური დაანგრიეს აჯანყებულებმა. თვითონ მისიონერებს შიში არ მოელისთ. გერმანიის კონსულმა დაუყონებლივ მიაღებინა ენერგიული ზომები ადგილობრივ ადმინისტრაციას.

მელმოთი. ფორტ იტალაზე თავ დასხმის დროს ბურებმა დაჰკარგეს სულ 500 კაცი. ბრძოლა 19 საათი გაგრძელდა. ორი დღის განმავლობაში ბურები ასაფლავებდენ დახოცილ თანამემამულეთ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ გენ. ლუი ბოტა, მაიორები გრობელადი, ემმეტი, დონგაუზერი, ოპერმანი, შოლცი და პოტეტერი; ამათგან სამი უკანასკნელი მოკლულია. ფორტ „პრასპექტთან ომმა ათი საათი გასტანა და გათავდა იმითი, რომ ბურების იერიში უკუ აქციეს.

ბელგრადი. სერბიელ გაზეთებს მოუყვიდათ ჩერნოგორიის მთავრის მდივნის წერილი, რომელშიაც უარყოფილია ხმა მთავრის შვილის მირკოსა და მთავრის ასულის ქსენიას დანიშვნის შესახებ.

პარიზი. გენერალ-ლებელენმა და გენერალ ლაველმა საპატიო ლეგიონის ორდენის რჩევის წევრობაზე უარი განუცხადეს გენერალ ფორენტენის საპატიო ლეგიონის კანცლერად დანიშვნის გამო გენერალ დავუს მაგიერ.

პეტერბურგის ბირჟა 19 სექტემბრის

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85	
ბერლინზე 100 მარკაში	$45{,}92\frac{1}{2}$	
პარიზზე 100 ფრანკში	$37{,}27\frac{1}{2}$	
ლონდონზე ჩეკები	—	
ბერლინზე „	46,30	
არიზზე „	37,45	
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{2}$—75.	
4% სახელმწიფო რენტა	96	მყიდვ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$100\frac{1}{8}$	გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	473	მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353	მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	354	გაყიდ.
$3\frac{1}{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—	
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	$89\frac{1}{2}$	„
$4\frac{1}{2}$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—	
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—	
5 % გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—	

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) **ტფილისიდან** ბათუმისაკენ: 1) სწრაფი მატარებელი გადის დილის 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 2) სათოსტო—გადის საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.); 3) სამგზავროს-გადის დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხუთშაბათობით) დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.); სათოსტო—გადის დილის 11 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 8 ს. 18 წ. 9) ს. და 16 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: სათოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუადღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბ) **ქუთაისიდან** ტფილისამდე: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.); 3) ბაქომდე—შუაღამის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.); 2) გადის შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

გ) **ბათუმიდან** ტფილისამდე: 1) სწრაფი მატარ. გადის საღამ. 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.); 2) სათოსტო მატარ. ბაქომდე გადის საღამ. 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.); 3) სამგზავრო მატარ. ბაქომდე გადის დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლის ელიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ბსჩითახოვისა, ავადმყოფებ უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ
საკერავს:
კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს).
ბარონის ქუჩა, № 12 (10—2)

ქუთაისის საქალაქო წყლის მილის სამთო ინჟინერის
ა. დ. მიხაილოვის და ამხ.
გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ პირველ სერიის **პაიები** უკვე გაყიდულია და ამ ჟამად გამოცემულია მეორე სერიის **პაიები.** ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში გამგეობის კანტორაში, ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლში და ქუთაისში ამხანაგობის კანტორაში. (3—1)

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო.

ტელეფონი № 741.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ-გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

განყოფილება
სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
განყოფილებას განაგებს ილ. გ. ჩუბინაშვილი.
ადრესი ფოსტისა· Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову. (100—47)

ადრესი ტელეგრამის: Тифлисъ. „Фармацевтика“

დაიბეჭდა და იყიდება **წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში:** შ. არაგვისპირელის **პირველი წიგნი,** ფასი ათი შაური. ისტორიული რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან ივ. ვაზოვისა „**დამონებულნი**“, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, გამოცემა სპ. ნარაკიძისა, ფასი ერთი მანეთი. პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნები შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество გადასაგზავნი ხარჯი არ გარდახდებათ მათ, ვინც ზემოხსენებულ ადრესით დაიბარებს და წიგნების ღირებულ ფასს (მანეთ ნახევარს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.